საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

# ადმინისტრაციული მიწერილობა
№ 002686

„6“ ივნისი 2024 წ. ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)
ქ. თბილისი ვ. ნიკოლაძის I ჩიხ N1

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „დ ენ დ დ“ (415404986164)
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი,
იურ. მს: ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, შემოსასვლელი გზის მე-13 კმ
პირადობის მოწმობის ნომერი, საცხოვრებელი ადგილი, იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის სახელწოდება, იურიდიული მისამართი)
დირექტორი ; მინისტრის 2021 წლის 20 იანვრის N2-82
ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (დანართი N17; 03.04.2017)

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: იხილეთ N002686
ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი N1
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: იხილეთ №002686 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 6 ფურცელი

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $79^{8}$ მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილის შესაბამისად

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ოფისის მოადგილე-მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი ნელი [illegible]

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ნ. [illegible]

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

[illegible]

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

2024 წლის 6 ივნისის №002686 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

შპს „ლ. ენდ ლ"-ის (ს/კ 404986164) კუთვნილ ასფალტის საწარმოზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 20 იანვრის №2-82 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2017 წლის 3 აპრილის №17 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, **შპს „ლ. ენდ ლ" ვალდებულია:**

1. **საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს** გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, მონიტორინგის გეგმის, შემარბილებელი ღონისძიებების, ავარიული სიტუაციების და მათზე რეაგირების გეგმის შესაბამისად (2017 წლის 3 აპრილის №17 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის **პირველი პირობა**). მათ შორის:

   1.1 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში,** ნარჩენების სეპარირებული შეგროვების მიზნით, უზრუნველყოს, საწარმოს ტერიტორიაზე, სათანადო რაოდენობის შესაბამისი მარკირების ნარჩენების (საყოფაცხოვრებო და სახიფათო) შესაგროვებელი სპეციალური კონტეინერების განთავსება, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

   1.2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების გატანა/განთავსებაზე ხელშეკრულების გაფორმება, შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების/საქმიანობის რეგისტრაციის მქონე ორგანიზაციასთან;

   1.3. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში** უზრუნველყოს საწარმოს ტერიტორიაზე სანიაღვრე სისტემის და სანიაღვრე წლების შემკრები სალექარის ნავთობდამჭერით მოწყობა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

   1.4. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში** უზრუნველყოს რეზერვუარების გარშემო ნავთობდამჭერის მოწყობა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

   1.5. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს ტერიტორიაზე ხანძარსაწინააღმდეგო წყლის ავზის მოწყობა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

   1.6. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში** უზრუნველყოს სარეზერვუარო პარკის (ბიტუმის და დიზელის რეზერვუარების) გარშემო ხანძარსაწინააღმდეგო სტენდების (შესაბამისი კომპლექტით) და სახანძრო უსაფრთხოებისათვის განკუთვნილი წყლის რგოლური ქსელის მოწყობა, ასევე ბიტუმის და დიზელის რეზერვუარების აღჭურვა მილგაყვანილობით, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მათი წყლით გაგრილება, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

1.7. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** შეიმუშაოს ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქცია, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

1.8. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად** უზრუნველყოს საწარმოს ექსპლუატაციისას წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების რაოდენობის, სახეობების, შენახვის და გატანის აღრიცხვის დოკუმენტაციის წარმოება, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

1.9. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად** უზრუნველყოს მუშა-მომსახურე პერსონალისთვის ინსტრუქტაჟის ჩატარება ნარჩენების მართვისა და გარემოს დაცვის საკითხებზე, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

1.10. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** შეიმუშაოს და დაამტკიცოს კონკრეტული მონიტორინგის (თვითმონიტორინგის) გეგმა, გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ფიზიკური ან იურიდიული პირების მითითებით, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

1.11. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან, საქმიანობის განხორციელების პროცესში, **კვარტალში ერთხელ** უზრუნველყოს ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგი, გაფრქვევის წყაროებზე და უახლოეს დასახლებულ_პუნქტთან, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მონიტორინგის გეგმის პერიოდულობის და სტრატეგიის შესაბამისად;

1.12. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად უზრუნველყოს** პირველადი აღრიცხვის ფორმების (პად-1; პად-2; პად-3) წარმოება, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და "დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილების შესაბამისად;

1.13. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** განახორციელოს **და შემდგომ სისტემატურად** უზრუნველყოს საწარმოში დამონტაჟებული აირმტვერდამჭერი სისტემის ეფექტურობის კონტროლი, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

1.14. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** განახორციელოს **და შემდგომ პერიოდულად** უზრუნველყოს საწარმოში განთავსებული ნავთობპროდუქტების შესანახი რეზერვუარების კოროზიაზე პერიოდული შემოწმება (ტესტირება), გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის" შესათანხმებლად

წარდგენა, ხოლო შეთანხმების **შემდგომ მუდმივად უზრუნველყოს** შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება.

## 2024 წლის 6 ივნისის №002686 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 14 ივლისის №DES42300000261 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა ქ. თბილისის შემოსასვლელი გზის მე-13 კმ-ზე განთავსებული, შპს „ლ. ენდ ლ"-ის (ს/კ 404986164) კუთვნილ ასფალტის საწარმოზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 20 იანვრის №2-82 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2017 წლის 3 აპრილის №17 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმება.

შემოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

1 2017 წლის 3 აპრილის №17 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის **პირველი პირობის შესაბამისად,** კომპანია არ ახორციელებს საქმიანობას გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, მონიტორინგის გეგმის, შემარბილებელი ღონისძიებების, ავარიული სიტუაციების და მათზე რეაგირების გეგმის შესაბამისად. კერძოდ:

1.1 საწარმოში არ ხორციელდება ნარჩენების სეპარირებული შეგროვება. არ არის განთავსებული ნარჩენების შეგროვებისათვის განკუთვნილი კონტეინერები და ასევე არ არის მოწყობილი სახიფათო ნარჩენებისათვის განკუთვნილი სათავსო, სადაც მოხდება სახიფათო ნარჩენების დროებითი დასაწყობება;

1.2 კომპანიას არ აქვს გაფორმებული ხელშეკრულება საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების გატანა/განთავსებაზე;

1.3 საწარმოს ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი სანიაღვრე სისტემა და სანიაღვრე წლების შემკრები სალექარი, ნავთობდამჭერით. ასევე დადგინდა, რომ საწარმოში არ არის დანერგილი ზედაპირული წყლების მართვის ორგანიზებული სისტემა. ამასთან, დადგინდა, რომ რეზერვუარების გარშემო ტერიტორია მობეტონებულია, თუმცა არ არის მოწყობილი ნავთობდამჭერი;

1.4 შპს „ლ. ენდ ლ" არ უზრუნველყოფს გზშ ანგარიშით გათვალისწინებული ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების შესრულებას. კერძოდ, ტერიტორია არ არის უზრუნველყოფილი ხანძარსაწინააღმდეგო წყლის ავზით, სარეზერვუარო პარკის (ბიტუმის და დიზელის რეზერვუარების) გარშემო არ არის მოწყობილი ხანძარსაწინააღმდეგო სტენდები, თავისი კომპლექტით. კომპანიას არ აქვს შემუშავებული ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქცია, ბიტუმის და დიზელის რეზერვუარები არ არის აღჭურვილი მილგაყვანილობით, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მათი წყლით გაგრილება. ასევე, ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი სახანძრო უსაფრთხოებისათვის განკუთვნილი წყლის რგოლური ქსელი;

1.5 შპს "ლ. ენდ ლ"-ს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი საწარმოს ექსპლუატაციისას წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების რაოდენობის, სახეობების, შენახვის და გატანის აღრიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი (ნარჩენის შესაბამისი კოდის მითითებით). ასევე, გატანილი

ან/და განთავსებული სახიფათო ნარჩენების მოცულობის შესახებ ინფორმაცია/დოკუმენტაცია;

1.6 კომპანიის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი მუშა-მომსახურე პერსონალისათვის ნარჩენების მართვისა და გარემოს დაცვის საკითხებზე ჩატარებული ინსტრუქტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

1.7 კომპანიის მიერ წარმოდგენილი სახელმწიფო აღრიცხვის ფორმა და პირველადი აღრიცხვის (პად-1; პად-2; პად-3) დოკუმენტაცია შევსებულია არასწორად და დარღვეულია მისი შევსების წესი;

1.8 გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად, შპს "ლ. ენდ ლ"-ს არ აქვს შემუშავებული და დამტკიცებული კონკრეტული მონიტორინგის (თვითმონიტორინგის) გეგმა, გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ფიზიკური ან იურიდიული პირების მითითებით;

1.9 გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მონიტორინგის გეგმის პერიოდულობის და სტრატეგიის შესაბამისად, კომპანია არ ახორციელებს კვარტალში ერთხელ ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგს;

1.10 კომპანიის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი, საწარმოში დამონტაჟებული აირმტვერდამჭერი სისტემის ეფექტურობის კონტროლის დამდასტურებელი დოკუმენტაცია. შესაბამისად, დადგინდა, რომ შპს "ლ. ენდ ლ" არ ახორციელებს აირმტვერდამჭერი სისტემის ეფექტურობის კონტროლს;

1.11 კომპანია არ ახორციელებს საწარმოში განთავსებული ნავთობპროდუქტების შესანახი რეზერვუარების კოროზიაზე პერიოდულ შემოწმებას (ტესტირებას). აღნიშნულთან დაკავშირებით ვერ იქნა წარმოდგენილი:

- 2017 წლიდან ჩატარებული კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ყოველთვიურად განხორციელებული მილგაყვანილობების ვიზუალური შემოწმების დამდასტურებელი დოკუმენტაცია, რომელშიც ასახულია დათვალიერების შედეგები, თარიღი და ინსპექტორის მონაცემები;
- 2017 წლიდან, ხუთ წელიწადში ერთხელ განხორციელებული, მილგაყვანილობების ჰიდროსტატიკური ტესტირების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

2. 2017 წლის 3 აპრილის №17 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის **მეორე პირობის** შესაბამისად, კომპანიამ ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ ინფორმაცია არ აცნობა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს;

3. შპს „ლ. ენდ ლ"-ს არ გააჩნდა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების მოქმედი პროექტი;

4. ინსპექტირებისას ასევე დადგინდა, რომ საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულია გერმანული ფირმა ,,KOVINARSKA WIBAU“-ს, KW 60/4-15/100UE“ ასფალტის დამამზადებელი დანადგარი, რომელიც არ არის განხილული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში.

შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, 2023 წლის 27 სექტემბერს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $57^{1}$ მუხლის, $79^{7}$ მუხლის პირველი ნაწილისა და $79^{8}$ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად შპს „ლ. ენდ ლ“-ის მიმართ, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №081240 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

სასამართლომ, 2023 წლის 2 ნოემბრის №4/7470-23 დადგენილებით, კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $57^{1}$ მუხლით, $79^{7}$ მუხლის პირველი ნაწილით და $79^{8}$ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში და სახდელის სახით შეუფარდა ჯარიმა - 7 000 ლარის ოდენობით. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლი შესაბამისად, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ლ. ენდ ლ“-ის (ს/კ 404986164) მიმართ, შემუშავდა დეპარტამენტის 2024 წლის 6 ივნისის №002686 ადმინისტრაციული მიწერილობა.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

# ადმინისტრაციული მიწერილობა
№ 001780

„ 6 “ ივნისი 2024 წ. ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)
ქ. თბილისი ვ. ნიკოლაძის I ჩს №1

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „ელ ენდ ლ“ (ს/კ 404986164)
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი,
იურ. მის: ქ. თბილისი გლდანის რაიონი, შემოსასვლელი გზის მე-13 კმ.
პირადობის მოწმობის ნომერი, საცხოვრებელი ადგილი; იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის სახელწოდება, იურიდიული მისამართი)
დირექტორი [redacted] მინისტრის 2021 წლის 20 იანვრის №2-82 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება; (დასკვნა №17; 03.04.2017)

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ, 2023 წლის 17-28 ივლისს, ქ. თბილისში შემოსასვლელი გზის მე-13 კმ-ზე განთავსებული
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)
შპს „ელ ენდ ლ“-ის (ს/კ 404986164) კუთვნილი ასფალტის საწარმოს ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა, რომ საწარმოს ტერიტორიაზე დამონტაჟებული გერმანული ფირმა „KOVINARSKA WIBAU“-ს KW 60/4-15/100 UE“ ასფალტის დამამზადებელი დანადგარი, რომლის მონტაჟიც არ არის გათვალისწინებული ასფალტის საწარმოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით აღნიშნულ დარღვევაზე შპს „ელ ენდ ლ“-ის მიმართ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $79^7$ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად შედგა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №081240, აღნიშნული ოქმი გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს, რომელმაც

2023 წლის 2 ნოემბრის №4/7470-23 დადგენილებით შპს „ტ ე ნ ტ" სცნო სამართალდამრღვევად. დღეს არსებული მდგომარეობით დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

გასატარებელი ღონისძიებები: „გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 57-ე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე გეზღუდებათ საქმიანობის განხორციელების უფლება
(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)
(გერმანული ფირმის „KOVINARSKA WIBAU"-ს KW 60/4-15/100EU" ასფალტის დამამზადებელი დანადგარის ექსპლუატაცია) გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე

თან ერთვის დანართი:
(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 84 მუხლის 3¹ ნაწილის შესაბამისად
(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის
(თანამდებობა, სახელი, გვარი)
უფროსის მოადგილე-მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი ნელი კოჩკოლაძე

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ნ. კოჩკოლაძე

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

ეგზავნება ფოსტით
(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

# ადმინისტრაციული მიწერილობა

№ 003829

„ 6 “ ივნისი 2024 წ. ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)

ქ. თბილისი ვ. ნიკოლაძის I ჩიხი N1

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „ლ ენდ ლ“ (ს/ნ 404986164)
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი,

იურ. მის: ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, შემოსავლელი გზის მე-13 კმ
პირადობის მოწმობის ნომერი, საცხოვრებელი ადგილი; იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის სახელწოდება, იურიდიული მისამართი)

დირექტორი [redacted]

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ 2023 წლის 17-28 ივლისს, ქ. თბილისში შემოსავლელი გზის მე-13 კმ-ზე განთავსებული, შპს „ლ ენდ ლ“-ის
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)
(ს/ნ 404986164) კუთვნილი ასფალტის საწარმოს / ობიექტის ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ კომპანია საწარმოო დანიშნულებით, მიწისქვეშა წყლის მოპოვებას, არტეზიული ჭაბურღილიდან, შესაბამისი წიაღით სარგებლობის ლიცენზიის გარეშე ახორციელებს, რაზედაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 57' მუხლის შესაბამისად შედგა ოქმი N081240, აღნიშნული ოქმი განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლომ, რომელმაც 2023 წლის 2 ნოემბრის N4/7470-23 დადგენილებით შპს „ლ ენდ ლ“ ცნო სამართალდამრღვევად.
დღეის არსებული მდგომარეობით დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში

გასატარებელი ღონისძიებები: შპს „ი ლ ენდ ლ"-ი ვალდებულია არ განახორციელოს საწარმოო ტერიტორიაზე განთავსებული ჭაბურღილიდან სასარგებლო წიაღისეულის - მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გარეშე.
(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი:
(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57¹ მუხლის და 84-ე მუხლის 3¹ ნაწილის შესაბამისად
(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი ნელი კორკოტაძე
(თანამდებობა, სახელი, გვარი)

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ნ. კორკოტაძე

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

იგზავნება ფოსტით
(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)